



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№21

14 ივნისი 2021 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ლევან გაბელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-6 პუნქტების, 117-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სსგს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 2021 წლის 1 ივნისს გაცემული გარდაცვალების მოწმობის შესაბამისად

1. ცნობად იქნეს მიღებული სენაკის მუნიციპალიტეტის უმაფათის თემის მაჟორიტარი საკრებულოს წევრის - ლევან გაბელიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი 2021 წლის 25 მაისიდან.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას; სენაკის №64-ე საოლქო საარჩევნო კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ზადრი კალანდარიშვილი